პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 ივლისი ხუთშაბათი 1971 წელი 2 აპრ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 155 (15065)

ხუთდღიური — ოთხ დღეში

სოციალისტური შრომის გმირის, მშენებელ შ. მოდებაძის ახალი ვალდებულება

რუსთავი. (საკ. კორ.). ახლახან მშობლიურ ხარაჩოებს დაუბრუნდა ზაპოროჟიეში სტუმრად მყოფი სოციალისტური შრომის გმირი, № 1 სამშენებლო ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი შ. მოდებაძე. იგი უკრაინაში იმყოფებოდა თავის თანამოსაქმესთან სოციალისტური შრომის გმირ ვ. ივანოვთან. შ. მოდებაძემ და ვ. ივანოვმა მეგობრობის განმტკიცების მიზნით ზაპოროჟიეში საძირკველი ჩაუყარეს ერთ-ერთ სახლს, რომელსაც მეგობრობის სახლი დაერქვა.

ქართველი და უკრაინელი მეგობრები შეთანხმდნენ, რომ მომდინარე ხუთწლედი დამკვრელურად გამოცახადონ და ყოველი ხუთი დღის ნორმა ოთხ დღეში შეასრულონ. მოდებაძემ თავისი ბრიგადის სახელით დამატებით იკისრა: ცვლის დავალება ყოველთვიურად შეასრულონ ოც-ოცი პროცენტის გადაჭარბებით, ხუთწლედის ბოლოსათვის დაზოგონ 6.000 მანეთის ხაშენი მასალები, ბეტონის სამუშაოებზე 27 პროცენტით შეამცირონ ხელის შრომის ხვედრითი წონა, ყოველწლიურად დანერგონ ორ-ორი რაციონალიზატორული წინადადება.

ამ დღეებში შ. მოდებაძის ახალი ინიციატივა განიხილეს და მოიწონეს № 1 ტრესტის გაერთიანებული აღმშენკომის სხდომაზე და ურჩიეს ტრესტში შემავალ კოლექტივებს მხარი დაუჭირონ მოდებაძის ინიციატივას და ფართოდ გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მშენებლობაში ხუთი დღის ნორმის ოთხ დღეში შესრულებისათვის.

ჩვენს ღიად სამშობლოში

მეცხვარეთა [illegible]

[illegible] (საკ. კორ.). [illegible] ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მეცხვარეთა გვარდიის თავმეყრის ადგილი გახდა. ორი დღის განმავლობაში მეცხვარეთა მილიონიანი არმიის წარმომადგენლები ეკონომდნენ სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და შუა აზიის უდიდეს სამომთაბარო საძოვრებს.

დღეს კი თვრამეტი რესპუბლიკის წარმომადგენლები მოვიდნენ ახალგაზრდა მეცხვარეთა მეორე სრულიად საკავშირო შეკრების პლენარულ სხდომაზე, რომელიც გახსნა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ტიაჟელნიკოვმა.

სიტყვა წარმოთქვა ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტ. უსუბალიევმა.

შემდეგ შეკრების მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ვ. მორზოვის მოხსენება — მეცხვარეობის შემდგომი განვითარების ამოცანები სკკპ XXIV-ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და ახალგაზრდობის როლი მათი განხორციელების საქმეში.

შეკრებაზე გამოვიდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მ. ტიაჟელნიკოვი.

მეცხვარეთა მეორე სრულიად საკავშირო შეკრებამ მიიღო მიმართვა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მეცხვარეებისადმი, კომკავშირელებისადმი, ქალებისადმი და ჰაბუაებისადმი.

სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

ერევანი, 7 ივლისი. (საკ. ინფორმ. კორ.). დღეს აქ მუშაობა დაამთავრა სომხეთის სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ.

დეპუტატებმა აირჩიეს სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი ნ. ხ. არუთინიანი. შეიქმნა რესპუბლიკის თავრობა. სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა დეპუტატი ბ. ა. მურადიანი.

უმაღლესმა საბჭომ შექმნა მუდმივი კომისიები. სესიამ დაამტკიცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, მიიღო კანონები.

დროზე, უდანაკარგოდ

საქართველოში მემინდვრეთა და მექანიზატორთა სიხარული, მაგრამ ამასთან ყველაზე დაძაბული დრო — პურეულის მკა მთელი ძალით გაჩაღდა. იგი აგვირგვინებს და აჯამებს მხვნელ-მთესველთა მთელი წლის შრომის შედეგებს.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის შეტ წილ რაიონებში ქერის მკა დამთავრდა, წარმატებით მიმდინარეობს პურის მოწავლის უდანაკარგოდ აღება, ნამჯის დაზვინვა, ნაწვერალზე ხვნა და სასილოსე სიმინდის თესვა. ასობით ტრაქტორისტი, კომბაინერი, მემანქანეა ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში იმისათვის, რომ უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ ვადებში აიღონ ახალი ხუთწლედის პირველი წლის მოსავალი.

მოსავლის უდანაკარგოდ აღებასა და პირუტყვისათვის უხეში საკვების დაგროვებაში თავიანთი დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენს ახალგაზრდებს. მინდვრად მათ ახლა ყველგან ნახავთ. ზოგი კომბაინისა და ტრაქტორის საჭეს მართავს, ზოგი ნამჯას აგროვებს, ზოგი კალოზე მუშაობს. მათი პატრიოტული საქმეები უთუოდ ქების ღირსია.

მხვნელ-მთესველებს წელს ბევრი საზრუნავი აქვთ. სახელმწიფოს უნდა მიმყიდონ სულ მცირე 98.000 ტონა მარცვლეული. მოსავლის აღება წარმატებით მიმდინარეობს. ახლა მთავარია მისი დაბინავება. ხალხური ანდაზა ამბობს: „მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია“. მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა კოსათვის მზადება ზამთარშივე დაიწყეს და დროზეც დაამთავრეს. მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. დროზე ავიღოთ მოსავალი — ეს იმას ნიშნავს, რომ პურეული ავიღოთ სწრაფად, უდანაკარგოდ, ამავე დროს საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს.

მისაბაძია სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის მექანიზატორის გივი ლათიბაშვილის მაგალითი. მისი ინიციატივით რესპუბლიკაში გაჩაღდა კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის უდანაკარგოდ შემჭიდროებულ ვადებში ასაღებად.

წითელწყაროელი მემინდვრეები ყოველწლიურად ზრდიან მოსავლიანობას. ასევე ითქმის სიღნაღის, მარნეულის, ყვარლისა და სხვა ზოგიერთი რაიონის შესახებ. წელსაც აღნიშნულ რაიონებში პურეულის უხვ მოსავალს იღებენ. მათი პირობაა სწრაფად, უდანაკარგოდ აიღონ პურეულის მოსავალი. ჯერ ყველა რაიონში პურეული მასობრივად სიმწიფეში არ არის შესული, მაგრამ მთიანი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მკის თადარიგი დიდი ხანია დაიჭირეს. უკვე მზადა აქვთ ყველა კომბაინი, მისაბმელი იარაღ-მანქანები, მარცვალსაწმენდები, სატრანსპორტო საშუალებანი. შედგენილი აქვთ მოსავლის აღების გეგმა-გრაფიკი. იმასაც ითვალისწინებენ, რომ კომბაინიდან გადმოსული განალეწი მარცვალი დროულად გადაზიდონ კალოზე, გაწმინდონ და ნაწვერალზე დათესონ სიმინდი. ზოგიერთი კოლმეურნეობის მინდვრებიდან უხვად მიდის პური სახელმწიფო ბეღლებში.

ამავე დროს ბევრ რაიონში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ნელა ემზადებიან მკისათვის, სერიოზულად ჩამორჩებიან კომბაინებისა და სამეალი მანქანების შეკეთების საქმეში. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით ახალქალაქის რაიონში თავთავიანი მარცვლეული კულტურების ასაღებად ცუდად მოემზადნენ, დაწესებულ ვადებში ვერ შეაკეთეს მარცვლის ასაღები კომბაინი. მართალია, წალკის, ბოგდანოვკის, ახალციხის და სხვა მთა რაიონებში პურეულის მოსავალი გვიან შემოდის, მაგრამ საინტერესოა, რატომ გაჭიანურდა კომბაინების რემონტი?

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები ყოველდღიურად და კონკრეტულად უნდა ხელმძღვანელობდნენ მოსავლის აღების ორგანიზაციას, ამოცანა ახლა ის არის, რომ სოფლის მშრომელთა მთელი მეცადინეობა მოვახმაროთ მინდვრად ტექნიკის მოვლის მაღალ დონეზე დაყენების საქმეს. დავეხმაროთ მათ სწორად გაანაწილონ სამუშაო ძალები და ტექნიკური საშუალებანი, ყველა კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობების მუშა ჩავაბათ შეჯიბრებაში მკის სანიმუშოდ დამთავრებისათვის.

მეურნეობათა კომპლექსური ტექნიკური მომსახურების ორგანიზაციაში ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ „სოფლტექნიკის“ სპეციალისტებს და კიდევაც უნდა გააკეთონ. მთელი რიგი რაიონების მიჭანიზატორები კი საფუძვლიან პრეტენზიებს უყენებენ მათ. რედაქციაში მოდის სიგნალები, რომ მკის გაცხარებულ დღეებში ზოგიერთი სარემონტო საწარმო დროზე არ ასრულებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეკვეთებს და ამით აფერხებს მანქანების ნორმალურ მუშაობას. „სოფლტექნიკის“ ახალქალაქის განყოფილებას კარგი ტექნიკური ბაზა აქვს და გამოცდილი კადრებიც ჰყავს, მაგრამ ამას რა ფასი აქვს თუ იქ დროულად არ შეაკეთებენ მანქანებს?!.

მოსავლის აღებისთანავე ნამჯა იწნიხება და პირუტყვის ეს ძვირფასი საკვები უდანაკარგოდ იზვინება. ეს საქმე კარგად მოაწყეს ბევრმა რაიონმა, მაგრამ მარნეულის რაიონში შეფერხებაა. ვინაიდან „საქსოფლტექნიკამ“ დროულად ვერ უზრუნველყო რაიონში საწნები აგრეგატების შეტანა.

ალოობა დადგა არა მარტო მხვნელ-მთესველებისათვის, არამედ დამამზადებელ ორგანიზაციათა მუშაკებისთვისაც. მათი მოვალეობაა ახალი მოსავლის მარცვლის მასობრივი მიღების საქმე ისე მოაწესრიგონ რომ ელევატორებისა და პუნქტების მთელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამართულად მუშაობდეს, რათა მოსავლის მიღება წარმოებდეს შეუფერხებლად, მთელი დღე-ღამის განმავლობაში. უზრუნველყოთ მარცვლეულის მიღების, დამუშავებისა და გაგზავნის ბევრი პროცესის მექანიზაცია.

განსაკუთრებით ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ მოსავლის აღებაზე მომუშავე მშრომელებისათვის. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებმა, კოოპერატორებმა მოსავლის აღების პერიოდში მაქსიმალურად უნდა დააკმაყოფილონ მშრომელთა კანონიერი მოთხოვნილებანი, განახორციელონ მოწინავეთა მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა: „ისევე როგორც წინათ, ახლაც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მარცვლეულის წარმოების გადიდება“. ეს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდი ამოცანების წინაშე აყენებს.

პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყოველი დონე უნდა იხმაროს, რათა მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს მოსავალი აიღონ შემჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ საჭირო რაოდენობით დაამზადონ საკვები. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ საბელმწიფოსათვის მარცვლეულის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმა.

ხუთწლედის ეს დღეები



მან თავი ისახელა

თბილისი. 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანა. ამ საწარმოს მისამართზე ყოველთვიურად მრავალი შეკვეთა მოდის და აქ დამზადებულ ყურძნის გადასამუშავებელ აგრეგატებს მუდამ ვადაზე იღებენ ჩვენი რესპუბლიკის, მომმე მოლდავეთის, სომხეთისა თუ აზერბაიჯანის ღვინის ქარხნები. სულ უფრო მეტი რაოდენობით უშვებენ მაღალი წარმადობის აგრეგატებს.

საამყოფო საამქროში, საიდანაც მზა პროდუქცია მომმზარებელს ეგზავნება, თავდადებული შრომით სახელი გაითქვა ამწყობმა ზეინკალმა ჯ. ბოგველმა. იგი თავისი საქმის ნამდვილი ოსტატია, საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს და დავალებებს ყოველთვის 120-130 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ჯ. ბოგველი.

ფოტო ბ. ბოგოსიანი.

თავდადებული შრომით

● თბილისი. მაღალნაყოფიერად შრომობს სახეხი ჩარხების ქარხნის კოლექტივი. მომდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა აქ ყველა მაჩვენებლით გადაჭარბებით შესრულდა. რეალიზებულია 1 მილიონ 895 ათასი მანეთის პროდუქცია, 45 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა.

აღსანიშნავია, რომ მომდინარე წლის ხუთ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 8,6 პროცენტით. ახლა აქ ყოველთვის ვადაზე მზადდება შეკვეთები, რომლებიც მრავლად მოდის ჩვენი ქვეყნის ბევრი კუთხიდან.

● თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. გამომუშავებულ იქნა 2 მილიარდ 569 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 37 მილიონი კილოვატ-საათით მეტი ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. აღსანიშნავია, რომ წელს სადგურის სიმძლავრის გაუდიდებლად გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გამომუშავებულია 250 მილიონი კილოვატ-საათით მეტი ელექტროენერგია, დაზოგილია 60 ტონაზე მეტი სათბობი.

გეგმის შესრულების საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ცვლამ, რომელსაც შ. შუბითიძე ხელმძღვანელობს. კარგად იმუშავეს საქვაბე-სატურბინე და ქიმიური საამქროს კოლექტივებმა, რომლებსაც ინჟინერები ვ. ჩახვაძე და ს. კახიანი უძღვანან სათავეში.

● გათუმის ტყავის საწარმოო გაერთიანება ყველაზე დიდია საქართველოში. იგი ამზადებს შევროს, ქრომს და სხვა სახეობის ტყავს.

საწარმოო დავალების შესრულებას კოლექტივი თავიდანვე მონდომებით შეუდგა, რასაც შედეგიც კარგი მოჰყვა, გადაჭარბებით შესრულდა ნახევარი წლის გეგმა. დამზადებულია 45 მილიონამდე დეციმეტრი მაღალხარისხოვანი ტყავი, რომელიც გადაეგზავნა ჩვენი რესპუბლიკისა და ვილნიუსის ფეხსაცმლის ფაბრიკებს.

● ყუალტუბო. (საკ. კორ.). „საქგუმბრინის“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა წლის პირველ ნახევარში დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა და 20 ათასი მანეთით გადაჭარბება რეალიზაციის გათვალისწინებულ მოცულობას. განვლილ პერიოდში მრეწველობას გეგმის გადამეტებით გაეგზავნა 2.950 ტონა გუმბრინი.

მაღაროელებმა გეგმასთან შედარებით 2,6 პროცენტით გადიდეს შრომის ნაყოფიერება, თვითღირებულების შემცირებით 9.000 მანეთი დაზოგეს და მოგების გეგმა 184 პროცენტით შეასრულეს. თავდადებულად შრომობენ ღია კარიერებისა და № 3 მაღაროს კოლექტივები, რომლებსაც მ. ხოჯავა და გ. გოცირიძე ხელმძღვანელობენ.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობისათვის 7 ივლისს მოსკოვიდან ულან-ბატორში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. აშმარინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის სარეგწევლო მშენებლობის მინისტრი ა. მ. ტოპჩანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ბურიატეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. უ. მარდიგანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ტუვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ბ. ტოპა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. შირიუბინი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, იმპერატორიანელის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ბ. ა. ბელიკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. ნ. ზარუბინინი.

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი

6 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ალდო მორო, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება საბჭოთა კავშირში.

გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროს განიხილეს სსრ კავშირსა და იტალიას შორის ურთიერთობის განვითარების საკითხები, აგრეთვე ორივე ქვეყნისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემები. (საკდესი).

მაღალი ჯილდო

ქალაქ დონის როსტოვს გადაეცა ლენინის ორდენი

დონის როსტოვი. 6 ივლისი. დიდი წარმატებებისათვის, რომლებიც ქალაქის მშრომელებმა მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სამრეწველო წარმოებისა და განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის დარგების განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში, ქალაქი დონის როსტოვი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მიეძღვნა საზეიმო კრება. შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. მ. კატუშევს, რომელიც აქ ჩამოვიდა ლენინის ორდენის გადასაცემად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის სახელით კ. თ. კატუშევმა გულითადად მიულოცა ქალაქის ყველა მშრომელთ მაღალი ჯილდო.

როსტოვის ოლქში ყოფნის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი ეწვია ტაგანროგს, სადაც გაეცნო ქარხანა „კრასნი კოტელშჩიკის“ და მეტალურგიული ქარხნის მუშაობას. როსტოვში იგი ეწვია სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხანას. ქალაქის ახალ დასავლეთ რაიონში კ. თ. კატუშევმა დათვალიერა საბინაო მშენებლობა.

კ. თ. კატუშევი ესაუბრა საწარმოთა მუშებს, მშენებლებს, ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, პარტიულ მუშაკებს.

სკკპ სოლქო კომიტეტში კ. თ. კატუშევი ესაუბრა პარტიის როსტოვის სოლქო და საქალაქო კომიტეტების ბიუროების წევრებს.

ახალწვეულები გააცილეს

თელავი. (საკ. კორ.). ყოველწლიურად ზეიმით აცილებენ წინანდელი მშრომელები თავიანთ შვილებს საბჭოთა არმიის რიგებში. ასე იყო წელსაც. ამას წინათ სასოფლო კულტურის სახლში შეიკრიბნენ მეგვანახლეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, მოსწავლეები, საბჭოთა არმიის რიგებში გასაწვევი ახალგაზრდები, რომლებიც ამ დღეებში გაემგზავრებიან სამხედრო ნაწილებში.

საბჭოთა არმიის რიგებში მორიგ გაწვევასთან დაკავშირებით საზეიმო შეკრება გახსნა საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ს. მეგუთნიშვილმა. შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის მდივანი ა. ქებაშვილი. შემდეგ ახალწვეულთ მიესალმა წოვევამდელი მამა, დიდი სამამულო ომის მონაწილე ა. მსუქნიშვილი.

კომკავშირის თელავის რაიკომის მეორე მდივანმა დ. აბაშიძემ კომკავშირულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის ქებაზე სიგელები გადასცა საბჭოთა მეურნეობის მუშებს, ყველაზე მოწინავე ახალწვეულებს დ. ბატიაშვილს, გ. მსუქნიშვილს, ს. ძამუნაშვილს და ვ. მეგუთნიშვილს. შემდეგ წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გ. ბოგველიშვილმა მუშების სახელით ფასიანი საჩუქრები გადასცა საბჭოთა არმიის რიგებში გაწვეულთ.

ახალწვეულებს გულთბილად მოესალმნენ და საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევა მიულოცეს თელავის რაიონის სამხედრო კომისარმა ზ. არდაზიშვილმა და წინანდლის საშუალო სკოლის დირექტორმა ლ. კალანდაძემ. ახალწვეულებს მოესალმნენ პიონერები და ყვავილების თაიგულები მიართვეს.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ახალწვეულები დ. ბატიაშვილი, გ. მსუქნიშვილი და სხვები.

ტურისტული ბილიკებით

მასპინძლობს ქუთაისი

ქუთაისი. (საკ. კორ.). გაიხსნა საზაფხულო ტურისტული სეზონი. ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან ყოველდღიურად ასობით ტურისტი ჩამოდის ქუთაისში სურამის, მამისონისა და ზეკარის უღელტეხილების გამოვლით.

რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრში ჩამოსული ტურისტები ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებთან ერთად ეცნობიან კურორტ წყალტუბოს, გელათსა და სათაფლიას.

ძველ ტურისტულ ბაზასთან ერთად სრული დატვირთვით მუშაობს ქუთაისის ახალი ტურისტული ბაზა „რიონი“, რომელიც ერთდროულად 250 კაცს ემსახურება. ორივე ბაზა (დირექტორები პ. გაგოშიძე და ვლ. ქობალიანი) ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა საზაფხულო სეზონს. შეკეთდა და ახალი ინვენტარით შეივსო საძინებელი კორპუსები და კვების ბლოკები, იმატა ავტობუსებმა.

მიმდინარე წელს ქუთაისი ცხრა საკავშირო მარშრუტით ჩამოსულ 36 ათასზე მეტ ტურისტს გაუწევს მასპინძლობას.

აქ ინახება ისტორია

თელავი. (საკ. კორ). საექსპოზიციოდ გადაეცა საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფილიალის სამსართულიანი შენობა, რომლის საცავები 350 ათას შესანახ ერთეულს იტევს.

გარდა დოკუმენტების საცავებისა, შენობაში მოწყობილია კაბინეტები მკვლევართა სამეცნიერო მუშაობისათვის, აქვეა ვრცელი დარბაზი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებისა და ფოტოსურათების გამოფენისათვის.

მაღაროელები კურორტებზე

ჰიათურა. (საკ. კორ.). მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე დაისვენებს 998 მაღაროელი. ხუთ თვეში შვებულება სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაატარა 376 კაცმა.

მაღაროელთა კურორტ კვირეთში წელს დაისვენებს 450 მშრომელი, ხოლო ლენინის სახელობის მაღაროს ღამის სანატორიუმში 600 კაცი. ზაფხულში დიეტური კვებით ისარგებლებს 200 მაღაროელი, რაზეც პროფკავშირები ოთხი ათას მანეთს ხარჯავენ.

რესპუბლიკის შიგნით ტურისტულ ლაშქრობებში მონაწილეობას მიიღებს 800 მაღაროელი, ხოლო ათეულობით მშრომელი ტურისტული საგზურებით უცხოეთში იმოგზაურებს.

ხილი და ბოსტნეული — მოსკოვს

ყუალტუბო. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ბოსტნეულის უხვ მოსავალს იღებენ. „საქხილბოსტნის“ ყუალტუბოს რაიონის დამზადების კანტორამ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მშრომელებისათვის უკვე გაგზავნა 1.000 ტონაზე მეტი ბოსტნეული.

წყალტუბოელები მოსკოვი ს ა და სხვა ქალაქების მშრომელებისათვის კიდევ გაგზავნიან ასობით ტონა ხილსა და ბოსტნეულს.



სასტუმრო „იმერეთი“

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რუსთაველის ქუჩა დაამშვენა ახალმა სასტუმრო „იმერეთმა“, იგი ააშენა ჭიათურის მარგანეცშენის № 8 ტრესტის ზესტაფონმშენის სამმართველომ.

ოთხსართულიანი ახალი სასტუმრო 150-ადგილიანია, აქვს რესტორანი, სუვენირების მაღაზია, დამხმარე სათავსები, უზრუნველყოფილია ახალი ავეჯით.

სასტუმროს მშენებლობაზე ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

სურათზე: სასტუმრო „იმერეთის“ ხედი.

ფოტო შ. შარვაძისა.

„ლუნოხოდ-1“ გზას განაგრძობს

ზორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი, 7 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა თვითმავალი ლაბორატორია „ლუნოხოდ-1“ განაგრძობს მთვარის ზედაპირის კვლევას.

4 და 5 ივლისის კავშირგაბმულობის სეანსების დროს მიღებული ტელევიზიული ინფორმაციის მონაცემებით, მთვარემავლის ყველა სისტემა და აგრეგატი ნორმალურად მუშაობს.

თერმორეგულირების სისტემა ხელსაწყოს ნაკვეთურში იცავს საჭირო სითბოს რეჟიმს. მზის ბატარიამ უზრუნველყო ელექტროენერგიის მარაგის შევსება იმ ოდენობამდე, რომელიც აპარატის ამოძრავებისა და სამეცნიერო აპარატურის ჩართვის საშუალებას იძლევა.

6 ივლისს მოწყობილ კავშირგაბმულობის უკანასკნელ სეანსში მთვარემავალმა დაიწყო მოძრაობა ჩრდილოეთის მიმართულებით. თვითმავალი აპარატი მოძრაობდა დაახლოებით 200 მეტრი დიამეტრის ძველი კრატერის ძალიან დამრეც შიდა ფერდობზე. მოძრაობის ტრასაზე მრავალი მეორეული კრატერი იყო. ამ რაიონის უფრო დეტალური შესწავლისათვის მიღებულ იქნა მთვარის ზედაპირის ტელეფოტომეტრიული პანორამული გამოსახულებანი. სეანსის დროს მთვარემავალმა გაიარა 53 მეტრი.

წვიმების ზღვაში მეცნიერული ექსპერიმენტი გრძელდება.

თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში უნდა უზრუნველყოთ ყველა კომუნისტის აქტიური მონაწილეობა პარტიულ გადაწყვეტილებათა განხილვაში, შემუშავებასა და განხორციელებაში. განვავითაროთ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა — ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და საქმის გაუმჯობესების ნაცადი მეთოდი.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციიდან.

აქჯივობაც, პასუხისმგებლობაც

იყო დრო, როცა გვიჭირდა საწარმოო დავალების შესრულება, როგორც იტყვიან, თავს ჩამორჩენილობის აჩრდილი დაგვტრიალებდა. პარტიული ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე საკითხს მთელი ხერიოზულობით განვიხილავდით. კომუნისტები ეძებდნენ ამ მდგომარეობიდან გამოსავალს, მრავალ წინადადებას აყენებდნენ, მოსაზრებები მოსაზრებებს ცვლიდა. კომუნისტებმა გულდასმით მოისმინეს საქსოვი საამქროს ქვეოსტატის, კომუნისტ ვ. ხუხუას სიტყვა. უველამ მოიწონა მისი გადაწყვეტილება მოწინავე კომპლექტიდან ჩამორჩენილ უბანზე გადასვლის შესახებ.

რა დასამალავია, იყვნენ სკეპტიკოსებიც, რომელთა აზრით ერთი კაცის გადასვლა საქმეს ვერ უშველიდა, მაგრამ პრინციპული კომუნისტი, საწარმოს პატრიოტი სულ სხვაგვარად ფიქრობდა. ვ. ხუხუამ მთელი სიცხადით დაამტკიცა თავისი ნაბიჯის სისწორე. მანვე განახორციელა მეორე ჩანაფიქრიც — გარდა იმისა, რომ ეს კომპლექტი დაწინაურდა და გეგმებს გადამეტებით ასრულებს, მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშებაც დაიწყო.

როცა რესპუბლიკის მშრომელები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს ზეიმობდნენ, თბილისში, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მსუბუქი მრეწველობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს და სხვა სტუმრებს უჩვენეს ჩვენი კომბინატის პროდუქცია — მაღალმხატვრული საიუბილეო ხალიჩა, რომლის დამზადებაში დიდია ინიციატივანი კომუნისტის ვ. ხუხუას კომპლექტის წვლილიც... „ძალიან კარგია, რომ ვისწავლეთ ასეთი რთული და ლამაზი ხალიჩების ქსოვა მექანიზებული ხერხით", — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა. მეხალიჩეები არ ივიწყებენ ჩვენი პარტიის მეთაურის ამ სიტყვებს. მათ მიერ დამზადებული ქართული, ეროვნული ორნამენტებით მოხატული ხალიჩები ხარისხით მსოფლიო სტანდარტების დონეზეა.

დადებითი მაგალითი ხშირად პოულობს მიმდევრებს. აღსანიშნავია კომუნისტ ნ. ჩიქობავას ინიციატივა. კომბინატში იდგა გამოუყენებელი დაზგები, რომელთა ზოგიერთი ნაწილი დაზიანებული იყო. მოწინავე ქვეოსტატმა პირადად შეაკეთა ისინი, გამართა და მწყობრში ჩააყენა. შეიქმნა ახალი კომპლექტი, სადაც ახალი მუშა-მქსოველები იქნენ დასაქმებულნი.

კომბინატის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, მისმა ბიუროს მთელი რიგი სასარგებლო ღონისძიებანი განახორციელეს კომუნისტების, ყველა მშრომელის შემოქმედებითი აქტივობის განვითარებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად. მაგალითად, ნართის დასამზადებელი შენაზავის დართვის უნარიანობის გაუმჯობესების მიზნით ამონიმური ბოჭკო, რომელსაც დართვის დაბალი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები ახასიათებდა, მთლიანად შეიცვალა.

შენაზავის დამზადების ხარისხის გასაუმჯობესებლად ათვისებულ იქნა უნივერსალური შემრევი მანქანა. კომბინატის მთავარი ინჟინრის მ. ნებულიშვილის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით კომბინატში ბევრი სხვა სიახლე დაინერგა.

ენერგიული ღონისძიებები ხორციელდება სახელმწიფო ქონების დაცვის, კოლექტივის თვითეული წევრის პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის.

1.200 მუშა-მოსამსახურიდან 180 კომუნისტია. კომუნისტები განაწილებული არიან იმ უბნებზე, სადაც უშუალოდ წყდება წარმოების ბედი. პარტიული ორმოქმედება). იგი შრომითს ვახტზე დგას და საქსოვი დაზგის საათობრივ წარმადობასა 7 კვადრატულ მეტრამდე ზრდის, ამასთან ზოგავს ნართს. ნოვატორს მხარს უმჭვენებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი ლ. ოდიშარია, ნ. გოქაძე, მრთველები ნ. ჯანელიძე, ც. კორშია, ქვეოსტატები დ. კობახიძე, მ. ქადარია და სხვები. კომუნისტები აქტიურად გამოეხმაურნენ სარაგოველთა ინიციატივას — პროდუქციის უდეფექტოდ დამზადებისა და მისი პირველი წარდგენისთვის ჩაბარების შესახებ.

პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობაში სათანადო ადგილი უჭირავს ადამიანებთან მუშაობას. საწარმოში ათასი წვრილმანია. მართალია, მათს მოსაგვარებლად აქკადრის ადამიანები, სპეციალისტები მუშაობენ, მაგრამ პარტიული თვალი მაინც აუცილებელია.

ხშირად ღია პარტიულ კრებებზე, პარტიული ბიუროს სხდომებზე წარმოების ორგანიზაციის საკითხების განხილვის დროს კომუნისტები და უპარტიო ამხანაგები ბევრ ძვირფას საკითხს თუ წინადადებას აყენებენ. რადგანაც ყველაფრის დამახსოვრება ძნელია, ზუსტად აღვრიცხავთ მათ, რათა შემდგომ განვახორციელოთ.

ამას წინათ ღია პარტიულ კრებაზე ერთ-ერთ საარსებო საწარმოო საკითხს განვიხილავდით. სართავი წარმოების პარტორგანიზაციის მდივანმა ზ. ჯიბლაძემ რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გააკეთა. მან თქვა, რომ საჩეჩი აპარატები დროულად არ ილესება, რადგან მწმენდავ-მლესავთა ბრიგადა თითქმის დაშლამდეა მისული. მანვე კრების მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა შემოზიდული ნედლეულის უხეირო ხარისხზე, რაც ნართის წყვეტასა და მოცდენებს იწვევს. საქსოვი საამქროს ოსტატმა ვ. ბერიძემ აღნიშნა საქსოვ დაზგებზე მისაქსელი ყუთების დამონტაჟებისა და სამსტრეების გამაგრების დაჩქარების აუცილებლობა. წარმოების ცალკეულ ნაკლოვანებებზე ილაპარაკეს გამომყვანი საამქროს მუშამ თ. მაშავამ, ქვეოსტატმა რ. ნანეიშვილმა, ცენტრალური სახელოსნოს უფროსმა თ. ადამიამ, სარემონტო ბრიგადის ხელმძღვანელმა ტ. გაოუჩავამ და სხვებმა.

პარტიულმა ორგანიზაციამ, მისმა ბიურომ ყურად იღეს სპეციალისტების კრიტიკული გამოსვლები, საჭირო დასკვნები გააკეთეს კრების მონაწილეთა შენიშვნებიდან, რომლებიც მიმართული იყო საქმის გაუმჯობესებისაკენ, გამოხატავდნენ მუშათა საერთო ინტერესს, სწრაფვას წარმოების სრულყოფისა და კულტურის ამაღლებისათვის. ბიურომ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი და კომუნისტებიც დაირაზმნენ მათ განსახორციელებლად. შედეგმა მალე იჩინა თავი.

პარტიულ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ სპეციალისტები: მთავარი ენერგეტიკოსი გ. შენგელია, მთავარი ინჟინერი მ. ნებულიშვილი, მომარაგების განყოფილების უფროსი ა. დგებუაძე, მთავარი მექანიკოსი გ. კალანდარიშვილი, სამშენებლო -სარემონტო განყოფილების უფროსი ა. ყურაშვილი და სხვები. მათი დახმარებით ოპერატიულად სრულდება ბევრი მნიშვნელოვანი, სასწრაფო საქმე.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუდმივი ზრუნვის საგანია სოციალისტური შეჯიბრება. ხშირად მოწმდება მისი შედეგები, და თუ რომელიმე უბანს ან მუშაკს უჭირს, მათ დახმარების ხელს ვუწვდით. თვითეული — კოლექტივისათვის, კოლექტივი — თვითეულისათვის— ასეთია ჩვენი დევიზი.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლას. პარტიის რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნის" ლექტორები ჩვენთან ხშირად კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს. მუშაობს 15 პოლიტინფორმატორი და 42 აგიტატორი. მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე აწყობენ საუბრებს ლ. ჯოჯუა, ბ. სახურია, რ. ბარბაქაძე და სხვები. პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, წარმოების საარსებო საკითხები — აი რაზე ამახვილებენ ისინი ყურადღებას.

მეხალიჩეებმა საგულისხმო შედეგები მოიპოვეს მიმდინარე წლის ექვს თვეში: პროდუქციის გამოშვების დავალება 119,2 პროცენტით გაანაღდეს, სამშობლოს მისცეს 8.240 ათასი მანეთის ნაწარმი. ივნისი დამკვრელურ თვედ იყო გამოცხადებული. ადამიანები ბეჯითად შრომობენ, კვალიფიკაციას იმაღლებენ კომბინატის პროფტექნიკურ სასწავლებელში.

კომბინატის კომუნისტებს, ყველა მშრომელთ ღრმად სწამთ, რომ ეს მიღწევები ზღვარი არ არის და უფრო მეტ წარმატებათა მოპოვება შეუძლიათ. თუ კი ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალებას გამოიყენებენ წარმოების შემდგომი განვითარებისათვის, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის.

განზრახული გვაქვს ამ დღეებში განვიხილოთ საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები, ღრმა ანალიზი გავუკეთოთ ჩვენს სამეურნეო, ორგანიზაციულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, გამოვამეღავნოთ ნაკლოვანებანი, დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი მთელი შინაპარტიული და სამეურნეო მოღვაწეობის დონის მკვეთრად ამაღლების მიზნით.

ეს კი ჩვენი შემდგომი მიღწევების საწინდარი იქნება.

ა. სამსონია,
ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის პარტბიუროს მდივანი.

ფიქრები მოამდგარ ბიბლიოთეკა მეცხვარეობაზე

ცნობილია, რომ საქართველოს ბუნებრივი პირობები მეტად მრავალფეროვანია. ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო წარმოების თერმულ ზონად და სამ ქვეზონად არის დაყოფილი.

ალმოსავლეთ კავკასიონის მთის ზონა, რომელიც ზიგეთ მეოთხეა, მეცხოველეობის ზონად არის ცნობილი. იგი მოიცავს დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ლენინგორისა და ჯავის ადმინისტრაციულ რაიონებს. დასახლებული ზონის ტერიტორიას დიდი კავკასიონის ცენტრალური და ყველაზე მაღალი ადგილმდებარეობა უჭირავს. მისი მთლიანი ტერიტორია 9.800 კვადრატული კილომეტრია და მასში სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი მიწების ფართობი ძალზე მცირეა.

აქ ზაფხულის პერიოდში (ივნისში, იულისში, აგვისტოში) და ადრე შემოდგომაზე (სექტემბერში) ცხვარს დიდი კავკასიონის ზაფხულის სუბალპურსა და ალპურ საძოვრებზე ამყოფებენ, ზამთრობით კი (ნოემბერში, დეკემბერში, იანვარში), აგრეთვე ადრე გაზაფხულზე (თებერვალში, მარტში და აპრილში) — ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე. ხოლო მაისსა და ოქტომბრის თვეებში ცხვარი სეზონურ საძოვრებს შორის მდებარე ცხრის გადასარეკ ტრასაზე იმყოფება, რომელიც ასობით კილომეტრს აღწევს.

დასახლებული ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რესპუბლიკის ცხრის მთლიანი რაოდენობის მეოთხედზე მეტია თავმოყრილი. ამდენად ეს ზონა ჩვენი რესპუბლიკის მეცხვარეობის საკმაოდ დიდი და თავისებური უბანია. ამ ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთლიან შემოსავალში მეცხვარეობიდან შემოსავალი საშუალოდ 60-80 პროცენტს უდრის, ხოლო ყაზბეგის რაიონის ყველა კოლმეურნეობაში და დუშეთის, თიანეთის, ლენინგორისა და ჯავის რაიონების მთის ზონის კოლმეურნეობებში იგი თითქმის 96-100 პროცენტს აღწევს.

ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მსხვილი საკოლმეურნეო მეცხვარეობის ფერმების შექმნის შემდეგ დასახლებულ ზონაში მეცხვარეობის გასაუმჯობესებლად მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა, სახელდობრ — ადგილობრივი, უხეშმატყლიანი (თუშური) ცხვრის წმინდამატყლიანი ჯიშებით გარდაქმნა-მეტნაზეცია, ცხვრის მოვლა-შენახვის, გადასარეკი ტრასებისა და მეზაფრობის პირობების გაუმჯობესება, მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობების მნიშვნელოვანი ამაღლება და სხვ. მიუხედავად ამისა, მაინც მიღებული შედეგები დამაკმაყოფილებელი არ არის.

ეს იმან გამოიწვია, რომ მთელი წლების მანძილზე ცხვრის ჯიშობრივი გარდაქმნა და ნაჯვართა შემდგომი მოშენება უსისტემოდ და ამასთან, დაბალ დონეზე მიმდინარეობდა. გარდა ამისა, სათანადოდ ვერ ხორციელდებდა საძოვრის გაუმჯობესებისა და საერთოდ მეცხვარეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის ღონისძიებანი.

დასახლებულ ზონაში შემავალი რაიონების მეცხვარეობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი ვვიჩვენებს, რომ ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძირითადად ნაჯვარი ცხვარია. საქმე იმაშია, რომ ადგილობრივი ცხვრის წმინდამატყლიანი ჯიშებით გარდაქმნის არადამკმაყოფილებელი დონის მიუხედავად, ზონაში ცხვრის ჯიშობრიობა ძირეულად შეიცვალა და ადგილობრივ უხეშმატყლიან მეცხვარეობაში წამყვანი ადგილი ნაჯვარმა მეცხვარეობამ დიამკვიდრა.

დღეანდელი ნაჯვარი მეცხვარეობა კი თავის მხრივ წარმოდგენილია ნახევრადუხეშმატყლიანი, ნახევრადწმინდამატყლიანი და წმინდამატყლიანი რთული ნაჯვარებით. ნაჯვართა საერთო რაოდენობაში წმინდამატყლიანი ნაჯვარების ხვედრითი წონა ძალზე მცირეა და ძირითადად ისინი ადგილზე სხვადასხვა მეურნეობიდან არიან შესყიდული. ამიტომ ისინი ჩვენი საზაფხულო საძოვრებთან ვერ სარგებლობენ და ზაფხულობით იქვე, ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე, ან ცხვრის გადასარეკ ტრასაზე რჩებიან, რაც, ჩვენი აზრით, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაშია დასაშვები. მისი მასობრივად გაფართოება კი სასარგებლოს არაფერს მოუტანს საქართველოს მომთაბარე მეცხვარეობას.

რაც შეეხება ნახევრადწმინდამატყლიან ნაჯვარებს, ისინი მიღებულია ადგილობრივი უხეშმატყლიანი ნირბებისა და წმინდამატყლიანი ვერძების (ძირითადად კავკასიური და საბჭოთა მერინოსი) ურთიერთშეჯვარებისა და ნაჯვართა შემდგომ მოშენების გზით. ისინი კარგად ეგუებიან მომთაბარეობის პირობებს და მათი ხვეულთი წონა საკმაოდ მაღალია. დასახლებული ნაჯვარები თავიანთი სხეულის ფორმითა და მატყლის საბურველით ახლოს დგანან ჯუმჯიბეს ბერ ჯიშებთან. ამასთან ისინი კარგად იყენებენ როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის საძოვრებს. ამიტომ ზაფხულობით მათ ზოგიერთი კოლმეურნეობა ადგილზე ტოვებს, ზოგიც მთაში ერეკება. შესამჩნევია, რომ ზოგან უკანასკნელ წლებში, ნახევრადწმინდამატყლიან ნაჯვარებს წმინდამატყლიან ნაჯვარებთან ერთიანად ბენ და მათ ერთად ტოვებენ ადგილზე (ზაფხულის საძოვრების განტვირთვის მიზნით), რაც, ჩვენი აზრით, სასურველი არ არის, რადგან ზაფხულში ცხვრის ადგილზე დატოვება საძოვრებს აფუჭებს და ზამთრობით ცხვრის ნორმალურად გამოზამთრებას საშიშროებას უქმნის. ამასთან ხელს უშლის აგრეთვე ნახევრადწმინდამატყლიან ნაჯვარებს სანაშენო მუშაობის წარმოებას.

ნახევრადუხეშმატყლიანი ნაჯვარებიც იმავე გამოსავალი ფორმებიდან არიან მიღებული, როგორც ნახევრადწმინდამატყლიანი ნაჯვარები, მაგრამ იმის გამო, რომ ამ უკანასკნელთა გადარჩევა და მათი მიზნობრივი მოშენება არ მიმდინარეობდა, ისინი მეტად მრავალგვარია და ურთიერთგანსხვავებული პოპულაციების სახით არის წარმოდგენილი. ასეთი ნაჯვარების გარკვეული ნაწილი სხეულის ფორმითა და მატყლის საბურველით ახლოს დგანან ჯუმჯიბეს ბერ ჯიშებთან. ამასთან ისინი კარგად იყენებენ როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის საძოვრებს. ამიტომ ზაფხულობით მათ ზოგიერთი კოლმეურნეობა ადგილზე ტოვებს, ზოგიც მთაში ერეკება. შესამჩნევია, რომ ზოგან უკანასკნელ წლებში, ნახევრადწმინდამატყლიან ნაჯვარებს წმინდამატყლიან ნაჯვარებთან ერთიანებ

მსოფლიო დღე

1973 7 ივლისი

ბერლინი

სოციალისტური ინტეგრაციის სარგებლობა

7 ივლისი. (საკდესი). ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე სახელმწიფოთა სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის საკითხებს ეძღვნება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის კ. პოიზერის სტატია, რომელიც მთავრობის ოფიციალურ ბიულეტენში „პრესე-ინფორმაციონენში" გამოქვეყნდა.

ეკონმიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სახელმწიფოთა 1971-1975 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაცია, წერს კ. პოიზერი, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა ეკონომიური ინტეგრაციის გაღრმავების გზაზე.

შეთანხმებანი, რომლებსაც ამ კოორდინაციის საფუძველზე ხელი მოვაწერეთ საბჭოთა კავშირთან და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სხვა ქვეყნებთან ამ პერიოდისათვის, ითვალისწინებენ საქონელბრუნვის, რომელიც ფულადი გამოხატულებით დაახლოებით 165 მილიარდ მარკას შეადგენს.

სსრ კავშირთან და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სხვა ქვეყნებთან დადებულმა გრძელვადიანმა შეთანხმებებმა დიდმნიშვნელოვანი წინამძღვრები შექმნეს ჩვენი რესპუბლიკის საექსპორტო პროდუქციის განაღების უზრუნველსაყოფად. შესაძლებელი გახადეს წარმოების მაღალი კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის მიღწევა და ამით შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა.

დელი ინდირა განდის განცხადება

7. ივლისი. (საკდესი). **გუშინ ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის საპარლამენტო ჯგუფის აღმასკომის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ.**

მან უარყო მოწოდებანი, რომ ჩაებან ომში პაკისტანის წინააღმდეგ და ომის საშუალებით სამშობლოში დაამტრეონონ აღმოსავლეთ პაკისტანელი ლტოლვილები, რომლებმაც ამჟამად თავშესაფარი ინდოეთში პოვეს. „ასე ეოლად ომის საკითხს ვერ გადავწყვეტთ", — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

უპასუხა რა იმათ არგუმენტებზე, ვინც ამტკიცებს, „საბოლოო ანგარიშით ომი უფრო იაფი დაგვიჯდება, ვიდრე ლტოლვილებისათვის ზრუნვაო", ინდირა განდიმ თქვა: „ომს არ ეწევიან ფინანსური მოსაზრებით და ომის შესახებ საკითხის ასე ადვილად გადაწყვეტა არ შეიძლებაო".

ინდოეთის ეროვნული კონგრესის მმართველი პარტიის სახელით ინდირა განდიმ მოუწოდა ზეგავლენა არ მოახდინონ მთავრობაზე პაკისტანთან ინდოეთის ურთიერთობის საკითხში.

ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე

დელი, 7 ივლისი. (საკდესი). როგორც სააგენტო პრეს ტრასტ ოფ ინდია იუწყება, ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე კვლავ დაძაბული ვითარებაა.

ორი დღის მანძილზე პაკისტანის ჯარები დროდადრო ცეცხლს უშენდნენ ინდოეთის სასაზღვრო საგუშაგოებს პეტრაპოლის დასახლებული პუნქტის (დასავლეთ ბენგალიის შტატი) რაიონში.

გუშინ ატყდა სროლა, რომელიც დაახლოებით ორ საათს გრძელდებოდა, იუწყება ინდოეთის პრესის საგენტო.

ყარაჩი, 7 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრეს ოფ პაკისტანის სააგენტოს დაკილი კორესპონდენტი იტყობინება, აღმოსავლეთ პაკისტანის ხელისუფლებმა პროტესტი განუცხადეს ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატის მთავრობას იმის წინააღმდეგ, რომ ინდოეთის სასაზღვრო ჯარები და რეგულარული არმიის ქვეგანაყოფები არღვევენ პროვინციის საზღვრებს და ცეცხლს უშენენ მის ტერიტორიას.

ინდოეთის ჯარების წინასწარგანზრახული მოქმედება, აღნიშნავს საააგენტო, მოხდა ჯესიოორის, რანგპურის, კუშტიისა და ქზულნის ოლქებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებების პრობლემა კვლავ მწვავედ დგას. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" ამას წინათ წერდა: „ბავკანიანთა გეტოებში იმდენად საშიში მდგომარეობა შეიქმნა, რომ ამერიკელები შიშის გრძნობით მოელიან რასობრივი გამოსვლების ახალ ტალღას".

სიღატაკე, უმუშევრობა, საშინელი საბინაო პირობები, ცხოვრების გაუჯობესების იმედის დაკარგვა ზანგთა გეტოებში დაძაბულობის მთავარი მიზეზებია. გასულ წელს ღარიბთა რიცხვი აშშ-ში 1,2 მილიონამდე გაიზარდა ძირითადად ზანგების ხარჯზე. თუ საშუალოდ ქვეყანაში უმუშევრობის დონე 5,6 პროცენტს შეადგენს, ზანგთა, პუერტორიკოელთა, მექსიკური წარმოშობის ამერიკელთა შორის იგი სულ ცოტა ორჯერ მეტია.

მრავალმილიონიანი შავკანიანი მოსახლეობის საჭიროებათა უგულებელყოფა ხელისუფალთა მიერ ხელს უწყობს „ტემპერატურის შემდგომ ზრდას" ამერიკის ქალაქებში. პოლიციური ძალადობა — აი ერთადერთი პასუხი ოფიციალური ამერიკისა მილიონობით შავკანიანის კანონიერ მოთხოვნაზე — ბოლო მოეღოს უთანასწორობას, სიღატაკეს, დამცირებას....

სურათებზე: ზემოთ — პოლიციელი უსწორდება ზანგ ბიუუნს ქალაქ მინეაპოლისში; **ქვემოთ** — პოლიციელი სცემს ზანგს ქალაქ როჩესტერში.

ფოტოები ჟურნალ „ნიუსუიკიდან და „ტაიმიდან" (აშშ).

ვაშინგტონი

რ. ნიქსონი აღიარებს

7 ივლისი. (საკდესი). კანზას-სიტში (მისურის შტატი) გაზეთების გამომცემელთა და რედაქტორთა ყინაშე გამოსვლისას პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა აღიარა, რომ ამერიკა განიცდის მორალურ კრიზისს, „საკუთარი თავისადმი რწმენის კრიზისს".

პრეზიდენტმა ამერიკის პრობლემები შეადარა პრობლემებს, რომლებსაც მოპყვა ძველი რომის დაცემა. მან შეშფოთება გამოთქვა, რომ შეერთებულ შტატებს შეიძლება მოელოდეს რომის იმპერიის ბედი, რომელიც სულ უფრო კნინდებოდა „იმის კვალობაზე, რაც კარგავდა ცხოვრებისა და სრულყოფისადმი მისწრაფებას". „შეერთებული შტატები ახლა უახლოვდება ასეთ წერტილს", — თქვა პრეზიდენტმა, — „კრიტიკული საკითხი ის არის, გახდება თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები მომავალ — 5-10 წელიწადში ჯანსაღი ერი მორალური თვალსაზრისით.

როგორც ნიქსონმა აღიარა, შეერთებული შტატების სინამდვილემ აიძულა ბევრი ამერიკელი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, დაეწყო ნარკოტიკების ხმარება, გამოეჩინა „მარცხმოსურნეობა, ნეგატივიზმი და განკერძოებულობა". პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პრობლემებმა, რომლებიც ახლა დგას ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე, შეიძლება ძირი გამოუთხაროს ამერიკის მომავალს.

შეეხო რა საერთაშორისო პრობლემებს, რ. ნიქსონმა განაცხადა, რომ „ახალი არაფერი აქვს სათქმელი" ვიეტნამის საკითხზე.

რ. ნიქსონმა შეშფოთებით აღნიშნა, რომ გაძლიერდა „საერთო ბაზრის" ქვეყნებისა და იაპონიის კონკურენცია მსოფლიოს ბაზარზე.

დოკუმენტები ამხილებენ

ნიუ-იორკი

7 ივლისი. (საკდესი). პენტაგონის დოკუმენტებმა, რომლებიც ამერიკის პრესაში გამოქვეყნდა, დაადასტურეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები უფრო არაგულწრფელი და მატყუარა ყოფილან, ვიდრე ეჰვობდნენ.

ასეთი დასკვნა გამოაქვს ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს იოჯინ მაკარტის სტატიაში, რომელიც ჟურნალმა „ნიუ რიპაბლიკმა გამოაქვეყნა.

„ეს დოკუმენტები გვიჩვენებენ, ოომ მთავრობები ყოველთვის მზად იყვნენ შეცდომაში შეეყვანათ ხალხი, უმალავდნენ მას ინფორმაციას, ეუბნებოდნენ მხოლოდ ნახევარ სიმართლეს, ზოგ შემთხვევებში კი საერთოდ არასწორად აშუქებდნენ ფაქტებს". დოკუმენტები ადასტურებენ სამხედროთა ძალაუფლებას ამერიკაში და იმ მისწრაფებას, რომ თითქმის ყველა საერთაშორისო პრობლემა გადაეჭრან ომის საშუალებებით, აღნიშნავს მაკარტი.

მაკარტი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ვაშინგტონის სავიეტნამო პოლიტიკის ფარისევლობას. „დოკუმენტების უაღრესად გულდაგული კითხვის დროსაც კი ვერ ვნახავთ რაიმე მინიშნებას, რომ ჩვენი ნაბიჯები სხვა არა იყო რა, თუ არა ფანდი, რომლის დახმარებითაც შეიძლებოდა ჩაგვეხსნა ომის კრიტიკა და მოგვენახა ინდოჩინეთში მისი ესკალაციისათვის ახალ-ახალი გამართლებანი", — აღნიშნულია სტატიაში.

მაკარტიმ მხარი დაუჭირა იმ აზრს, რომ საჭიროა ვიეტნამის ომი დამთავრდეს მოლაპარაკების გზით.

მან გადაჭრით დაგმო „ვიეტნამიზაციის" პოლიტიკა, რომელსაც ნიქსონის მთავრობა ამჟამად ახორციელებს.

კაირო

კონსტიტუციის პროექტი

7 ივლისი. (საკდესი). არაბულ რესპუბლიკათა ფედერაციის წევრი ქვეყნების (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, სირია, ლიბია) წარმომადგენლებმა დაამთავრეს ფედერაციის კონსტიტუციის პროექტის განხილვა.

კონსტიტუციის პროექტს განსახილველად წარუდგენენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ანვარ სადათს, ლიბიის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს მუამარ კადაფსა და სირიის პრეზიდენტს ჰაფეზ ასადს.

ა. დევისის ადვოკატები მოითხოვენ

ნიუ-იორკი, 7 ივლისი. (საკდესი). **ანჯელა დევისის ადვოკატებმა მოითხოვეს, რომ მისი „საქმე" მოისმინოს არა კალიფორნიის შტატის სასამართლომ, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურმა სასამართლომ.**

ანჯელა დევისის ადვოკატები თავიანთ მიმართვაში ფედერალური სასამართლოსადმი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მის წინააღმდეგ შეთითხნილი საქმე შეთქმულებაა, რომელიც იმ მომენტში წარმოიქმნა, როცა ა. დევისმა აშკარად განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წევრი ვარო.

ა. დევისის მთელი დევნის, მისი დაპატიმრებისა და კალიფორნიის ხელისუფალთათვის გადაცემის მიზანი, ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, ის იყო, რომ გაეძევებინათ დევისი სტუდენტთა აუდიტორიიდან, ხოლო შემდეგ „კანონიერ საფუძველზე" ჩაეჩუმებინათ.

ბოლოდ

● **ამა წლის 3 ივნისს** დაპატიმრებული ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ჟორჟ ჰაუი განთავისუფლებულია საპატიმროდან. არ დადასტურებული მისთვის წაყენებული ბრალდება, რომ „შეურაცხყო ლიბანის შეიარაღებული ძალები".

● **გვინეის** რესპუბლიკის თავდაცვის უმაღლესი საბჭოს უოფილი უფროსი ნუმანდიან კეიტა, რომელიც ამ დღეებში გადააყენეს თავისი პოსტიდან, დაპატიმრებულია და ბრალად ედება „სამშობლოს ღალატი და მტერთან პირის შეკვრა".

● **სარდინიის** ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ინდუსტრიულ ქალაქში ვილასორში (კალიარის პროვინცია) შეადგინეს მემარცხენე ჯუნტა (მუნიციპალიტეტის ალმასკომი) რომლის შემადგენლობაში შედიან კომუნისტური და სოციალისტური პარტიების, აგრეთვე იტალიის პროლეტარული ერთიანობის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელნი. ქალაქის მერად არჩეულია კომუნისტი ოსვალდო არიქსი.

● **დიპლომატიურ** ფუნქციებთან შეუთავსებელი საქმიანობისათვის ინგლისის ბაღდადის საელჩოს პირველ მდივანს რ. გლაბს წინადადება მიეცა 24 საათის განმავლობაში დატოვოს ქვეყანა. გუშინ ერაყის ხელისუფლებმა განკარგულება გასცეს გაასახლონ ორი სხვა ინგლისელი დიპლომატი — სამხედრო-საჰაერო ატაშე პიუ ჰარისონი და საელჩოს პირველი მდივანი ჯორჯ როლესტონი.

● **თეირანში** დაიწყო ირანისა და ინგლისის სამოქალაქო ავიაციის წარმომადგენელთა მოლაპარაკება,

ტელეტაიპის ლენტიდან

რომლის მიზანია დადონ თანასწორუფლებიანი ხელშეკროლობა საჰაერო მიმოსვლისა და ტვირთნიდვის შესახებ.

● **დელში ჩამოვიდა** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში გ. კისინჯერი, რომელსაც შეხვდნენ შავი ალმებითა და ლოზუნგებით „სიცოცხლილი ამერიკის საგარეო პოლიტიკას", „კისინჯერო, შინ წაეთრიე".

● **პერუში** ბაიხსნა საერთაშორისო სემინარი კვების საკითხებზე. სემინარში მონაწილეობენ პერუს, ჩილეს, მექსიკის, ბრაზილიის, კოლუმბიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელნი. სემინარის მთავარი მიზანია გამოსახოს ლათინური ამერიკის ქვეყნებში სასურსათო პრობლემის გადაჭრის გზები.

● **იაპონიის** კიუსიუს კუნძულზე მდებარე დაბა მიჩკეში შიმშილობა შეწყვიტეს 50 მეშახტემ და მათი ოჯახის წევრებმა. „მიცუი კოძანის" კამპანია დათანხმდა, რომ დაკმაყოფილოს მათი მოთხოვნების დიდი ნაწილი. მეშახტეები მოითხოვდნენ პენსიები და დახმარებანი მიეცათ ყველა იმათთვის, ვინც 1963 წელს დაშავდნენ შახტში მაღაროს გაზის აფეთქების დროს, როცა სანგრევში დაიღუპა 458 მაღაროელი და 800-ზე მეტი კაცი მოიწამლა.

● **ტრაბიკულად** დაიწყო მთამსვლელთა წლევანდელი სეზონი საფრანგეთის ალპებში. ივლისის პირველ შაბათ-კვირას ცხრა მთამსვლელი დაიღუპა მთებში უბედური შემთხვევების შედეგად. საშველი სამსახურები შიშობენ, რომ წელს სავალალო „რეკორდი" გადააჭარბებს შარშანდელს, როცა მთებში დაიღუპა 33 სპორტსმენი.

სპიდსი-ფრანს პრესი-რეიტერი.

ფაქტები

ეთერის დივერსანტები

ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისი

ანტიკომუნიზმი ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოციან წლებში წარმოიშვა როგორც მზარდი მუშათა და კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი საშუალება ბურჟუაზიისა. მას შემდეგ ანტიკომუნიზმმა დიდი ცვლილებები განიცადა, „განვითარდა" კიდეც, და დღეს ამ ტერმინით აღინიშნება საკმაოდ რთული იდეურ-პოლიტიკური მოკლენა.

ბურჟუაზიის ანტიკომუნისტური მოქმედების მასშტაბები არნახულად გაფართოვდა. სოციალისტური ბანაკის ეკონომიურ-პოლიტიკური და სამხედრო პოტენციალის ზრდამ, მშრომელთა მილიონიანი მასების ჩაბმამ მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ინფორმაციის საშუალებათა სწრაფი ტემპით განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა იდეოლოგიის როლი საზოგადოების ცხოვრებაში. სოციალიზმისა და კაპიტალიზმის — ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ისტორიულ კონფლიქტში ძალთა თანაფარდობა სულ უფრო და უფრო განისაზღვრება პროპაგანდის სფეროში ბრძოლით.

ორი სისტემის წინააღმდეგობა ჩვენს თვალწინ იშლება. ამ ბრძოლის შედეგი ობიექტურად არის განპირობებული. მაგრამ თვით ბრძოლა გრძელდება და სულ უფრო მძაფრ სასიათს იღებს. კაპიტალისტური საზოგადოების კრიზისთან ერთად მისი იდეებიც რომ დეგრადაციას განიცდიან, ეს სავსებით ნათელია.

ბურჟუაზიის იდეოლოგთა ბანაკში თითქმის აღარ დარჩნენ წმინდა კაპიტალიზმის აპოლოგეტები — თვით სიტყვა კაპიტალიზმი გამოდის მოდიდან. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ბურჟუაზიულ იდეოლოგიის ზეგავლენა ნულამდე დაეცა. იგი ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის მძლავრი საშუალებებით, აქტიურად მოქმედებს იმპერიალისტური ბანაკის საზოგადოებრივ აზრზე, სხვადასხვა არხებით აღწევს სოციალისტურ ქვეყნებში.

ანტიკომუნიზმი კაპიტალისტურ ქვეყნებში აყვანილია სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე. ისტორიამ ფაქტიურად დიდი ხანია დაუსვა იგივეობის ნიშანი ოფიციალურ ბურჟუაზიულ იდეოლოგიასა და ანტიკომუნიზმს, გახადა ისინი აუტანტური. თანამედროვე ანტიკომუნიზმის იდეოლოგები ერთნაირი მონდომებით ამუშავებენ როგორც იმპერიალიზმის სოციალური საძირკვლების შენარჩუნების ფეიერპტებს თავიანთი ქვეყნის შიგნით, ისე მუდმივად ცვლადადი „ზეგავლენის ზონების" საზღვრებში. ანტიკომუნიზმი განსაზღვრავს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის — წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის საფუძვლებს.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნების საზღვრები შემოდობილია იმპერიალისტური რადიოსადგურებით. მთელი რიგი „დიდი სახელმწიფოები" თავიანთი საკუთარი გადამცემების მშენებლობის გარდა ყოველგვარად უწყობენ ხელს ეროვნული ინფორმაციის საშუალებათა განვითარებას. უფასოდ ან ძალზე ხელსაყრელი პირობებით აძლევენ კრედიტებს სატელევიზიო გადაცემათა რადიუსის გაზრდისათვის, ამასთან ყურადღება ეთმობა ტექნიკური სისტემების შეხამებას და სოციალისტურ ქვეყნებში ამ გადაცემების მიღების შესაძლებლობას.

ამერიკელთა აქტიური მონაწილეობით ფორსირებული ტემპებით მიმდინარეობს თურქეთის ტელევიზიის რეტლანსლატორების დადგმა ანკარის აღმოსავლეთით საბჭოთა ამიერკავკასიის საზღვრების მიმართულებით. თურქეთის პრესის ცნობით, შავი ზღვის სანაპიროზე საზღვართან ახლოს, ბათუმიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით დაგეგმილია 1972 წელს სატელევიზიო კოშკის აგება. თურქული ეროვნული ტელევიზიის პოტენციური აუდიტორია მამინ გაიზრდება სპერთველოს მთელი რიგი რაიონების ხარჯზე. ამ აქციის სერიოზული ხასიათი ნათლად გამოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო ცნობებისა და ტელეფოტოების ძირითადი მომწოდებელი თურქეთის ტელევიზიისათვის არიან ამერიკის სატელეგრაფო-საინფორმაციო სააგენტოები და სატელევიზიო კონსორციუმები.

სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული „ფსიქოლოგიური ომის" ფორმოსტებად დიდი ხანია გადაიქცნენ ავსტრია და დასავლეთი გერმანია. მიუნხენშია ორი ამერიკული „ეერძო" რადიოსადგურის შტაბ-ბინები, რომლებიც აწარმოებენ ძირგამომთხრელ პროპაგანდას. პირველი თავისი გადაცემები რადიოსადგურმა „თავისუფალმა ევროპამ" დაიწყო 1950 წლის ივლისში. დღეს სადგურის ტრანსლაცია დღე-ღამეში შეადგენს ჩეხოსლოვაკიისათვის — 20 საათს, პოლონეთისა და უნგრეთისათვის 19, რუმინეთისათვის — 12, ბულგარეთისათვის — 7,5 საათს. ყველა ამ გადაცემის 34,7 პროცენტი პოლიტიკური ხასიათისაა, 16,1 პროცენტი დათმობილი აქვს უკანასკნელ ცნობებს, 18,8—კულტურულ თემებს, 2,2 პროცენტი — რელიგიურ თემებს, 21,6 — მუსიკალურ გადაცემებს.

რადიოსადგური „თავისუფალი ევროპა" იყენებს 32 გადამცემს, რომელთა საერთო სიმძლავრეა 2245 კილოვატი. აქედან 18 გადამცემი განლაგებულია პორტუგალიაში ლისაბონთან ახლოს, დანარჩენები—დასავლეთ გერმანიაში. მიუნხენის რადიოცენტრის პერსონალი ათასამდე ადამიანს ითვლის — ორასი ამერიკელი მოქალაქეა, ოთხასამდე გერმანელი, დანარჩენი არიან ემიგრანტები სოციალისტური ქვეყნებიდან. ნიუ-იორკის განყოფილებაში 100 კაცზე მეტი მუშაობს. დასავლეთის ზოგიერთი გაზეთის ინფორმაციას აღმოსავლეთ ევროპაში, ვიდრე დასავლეთის რომელიმე „ეერძო რადიოსადგური".

რადიოსადგური „თავისუფალი ევროპა" გამოსცემს „ახალ ეროპას" ეროვნული ხასიათის სპეციალურ მასალებს სოციალისტური ქვეყნების მდგომარეობის შესახებ. მასალები ეგზავნება 600-ზე მეტ კლიენტს 19 ქვეყანაში.

თავის ძირითად ამოცანას რადიოსადგური „თავისუფალი ევროპა" შემდეგნაირად აყალიბებს: „ამერიკის ხმის", „ბი-ბი-სის" და სხვა რადიოსადგურებისაგან განსხვავებით, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაზე გადასცემენ, რადიოსადგური „თავისუფალი ევროპა" ყურადღებას ამახვილებს ამ ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარების ანალიზზე. მისი საქმიანობის განსაკუთრებით პოპულარული შედეგია სიახლეთა შესახებ სწრაფი, ზუსტი და მთლიანი ინფორმაცია... ემიგრანტების ცოდნისა და მონდომების წყალობით ყოველი ხუთი განყოფილების გადაცემები უნდა აღიქვეროდნენ არა როგორც უცხური გადაცემები, არამედ როგორც ადგილობრივი, დამოუკიდებელი, ისეთი, როგორიც შეიძლება ყოფილიყო თვით ქვეყნის შიგნით. თუ კი მთავრობა ამის ნებას დართავდა".

როგორც დასავლეთგერმანული ჟურნალი „კონკრეტი" აღნიშნავს, „თავისუფალი ევროპა" და დაწესებულებები, რომლებიც მასთან თანამშრომლობენ, დიდ სამუშაოს ასრულებენ „აღმოსავლეთ ევროპის ხუთი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთან ერთად. ეს ინფორმაციები ... ეკონომიური, ... ინფორმაციებ ... ეკონომიური, ...

ტოლიატელებთან

ბთელმა ჩვენმა მრავალეროვანმა ქვეყანამ დიდი ზეიმით აღნიშნა საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავი. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის ტოლიატის განყოფილების ინიციატივით ამ ცოტა ხნის წინათ ქ. ტოლიატში გაიმართა ქართული კულტურის დღეები. ხალხთა მეგობრობის ამ დიდ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ტოლიატში გაეგზავნა კულტურის მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი ჯ. რაზმაძე. დელეგაციაში შედიოდნენ აგრეთვე თბილისის თვითმმართველობის მხატვრული კოლექტივები, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ თბილისის საბინაო სამმართველოს მოცეკვავეთა ჯგუფი (ხელმძღვანელი ჯ. მურუსიძე), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ვოკალური ტრიო, საკონცერტო ფაბრიკა „მზიურის“ ქართულ ხალხურ საკრავთა დუეტი გ. ნადირაშვილისა და ბ. შალამბერიძის შემადგენლობით.

ამ დღეებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების სახელზე ტოლიატელებმა მოვიდა მადლობის წერილი, რომელსაც ხელს აწერს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის ტოლიატის განყოფილების ხელმძღვანელი **ა. ბოროდინი.** წერილში ნათქვამია:

— ჩვენი საზოგადოება უღრმეს მადლობას გიძღვნით ქართველ კოლეგებს ამ დიდი დახმარებისათვის, რომელიც გაგვიწევთ საქართველოს კულტურის დღეების გამართვისათვის ჩვენს ქალაქში.

ამ დღეებში ქ. ტოლიატის მცხოვრებლები, აგრეთვე საფრანგეთის, ბელგიის, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცარიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, უგანოსლავიის, პოლონეთის, ბულგარეთისა და სხვა სახელმწიფოების საზღვარგარეთელი სპეციალისტები გაეცნენ შესანიშნავ ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს, ქართველ მუსიკოსების ხელოვნებას.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის დღეების უდიდესი წარმატება საზღვარგარეთის თვითმმქმედი მხატვრული კოლექტივების წვრთა მაღალმა ოსტატობამ, მათმა ნათელმა და შესანიშნავმა ხელოვნებამ. ქართულმა სიმღერებმა და ცეკვებმა შესაძლებლობა მისცეს მაყურებლებს გასცნობოდნენ ქართველი ხალხის სულიერ სიმდიდრეს, უძველეს კულტურასა და ტრადიციებს.

ლ. ხუბულური.

წინ ახალი სტარტებია

□ მშვილდოსნებმა ისრები ჩაალაგეს

□ ბრძოლაში ჩაებნენ კალათბურთელები და ნიჩბოსნები

მოსკოვი. 7 ივლისი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). მშვილდოსნებმა ისრები უკვე ჩაალაგეს. გავეცანით ახალ ჩემპიონებს, პრიზიორებს. თითქმის ყველა ერთხმად აღიარებს, რომ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტის ლ. ასატუროვას ტრიუმფის მსგავსი არ ახსოს არცერთ სპარტაკიადას. და მართლაც, ეწვიო მოსკოვს პირველთანრიგოსნად და შეჯიბრება საერთაშორისო კლასის ოსტატის წოდებით დაამთავრო — ეს ჭეშმარიტად დიდი გამარჯვებაა.

საქართველოს ქალთა გუნდი მესამე პრიზიორი გახდა —6375 ქულა. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ასატუროვას გარდა იყვნენ ლოსაბერიძე და პაიკიძე. ლოსაბერიძემ გუნდს ჩამთვლელი ქულა მისცა. რაც შეეხება ვაჟთა გუნდს, ისინი მეთორმეტე ადგილით დკმაყოფილდნენ.

ვინ მოიპოვა ჩემპიონობა და ვერცხლის მედალი ქალთა გუნდებს შორის? სპარტაკიადის ოქროს მედალი გადაეცათ ესტონელებს — 6636 ქულა. უკრაინელებმა 6435 ქულით მეორე ადგილი დაიკავეს. აი ვაჟთა გუნდების პირველი სამეული: უკრაინა — 6735 ქულა, მოსკოვი — 6439 ქულა, ესტონეთი — 6267 ქულა. პირად ასპარეზობაში ვაჟთა შორის წარმატება ლენინგრადის ნაკრების წარმომადგენელს მ. პეუნოვს ხვდა — 2300 ქულა. იგი სპარტაკიადის პირველი ჩემპიონია ვაჟთა შორის.

ახლა ახალ სახეზე, პირველ რიგში კალათბურთზე. მან დღეს აიღო სტარტი ცსკა-ს სპორტის სასახლეში. კალათბურთელთა ტურნირზე ქალთა და ვაჟთა გუნდები გამოეზავნა ყველა რესპუბლიკამ, გარდა ტაჯიკეთისა. პირველობისათვის იბრძვიან აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივები.

მეტოქეები ქვეჯგუფებში ასე განაწილდნენ ვაჟები — პირველი ქვეჯგუფი: ყირგიზეთი, საქართველო, უკრაინა, რსფსრ, უზბეკეთი, თურქმენეთი; მეორე ქვეჯგუფი: მოსკოვი, სომხეთი, ლენინგრადი, აზერბაიჯანი, ლიტვა; მესამე ქვეჯგუფი: ესტონეთი, მოლდავეთი, ყაზახეთი, ბელორუსია, ლატვია.

ქალთა გუნდები: პირველი ქვეჯგუფი — თურქმენეთი, საქართველო, სომხეთი, ესტონეთი, ლატვია, ყაზახეთი; მეორე ქვეჯგუფი: ლენინგრადი, ლიტვა, მოსკოვი, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი; მესამე ქვეჯგუფი: უკრაინა, უზბეკეთი, რსფსრ, ბელორუსია, მოლდავეთი.

პირველ მატჩში საქართველოს ვაჟთა ნაკრებს დღეს ჰქონდა შეხვედრა უზბეკეთის გუნდთან. საქართველოს გუნდის შემადგენლობა ასეთია: ჩიხლაძე, მოსეშვილი, საკანდელიძე, ჩხიკვაძე, ბიჭიაშვილი, გლურჯიძე, ალთაბავეი, სხიერელი, უგრეხელიძე, ქორქია, პულავსკი, ბოლქვაძე. საერთოდ ყველა გუნდი დაკომპლექტებულია თორმეტ-თორმეტი მოთამაშით.

ჩვენი სასტარტო ხუთეული ასე გამოიყურებოდა: საკანდელიძე, ქორქია, ჩიხლაძე, პულავსკი, სხიერელი. ანგარიში საქართველოს კალათბურთელებმა, გახსნეს: ისინი ხუთი წუთისათვის წინ იყვნენ 19:6, ზუსტი ტყორცნებით გამოირჩეოდა საკანდელიძე, მეათე წუთზე ტაბლოზე ვხედავთ ციფრებს 28:14, მეთხუთმეტე წუთისათვის 36:17, ჩვენმა ნაკრებმა ტაიმი მოიგო. რა თქმა უნდა, უზბეკეთის კალათბურთელებს სწადდათ გარდატეხა შეეტანათ მეორე ნახევარში, მაგრამ ისინი ვერაფერს გახდნენ და საბოლოოდ დამარცხდნენ ორმოცდაათი ქულით — 59:109. ამრიგად, საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა პირველი ქულა ჩაიწერა აქტივში. ძირითადი ბრძოლა ფინალში გასვლისათვის წარიმართება უკრაინის, რსფსრ-ისა და საქართველოს გუნდებს შორის.

ჩვენი რესპუბლიკისა და ლატვიის ქალთა გუნდების შეხვედრა დღეს გვიან საღამოს გაიმართა. აი ზოგიერთი სხვა შეხვედრის შედეგები: ლიტვა-მოლდავეთი (ვაჟთა გუნდები) 83:63 (36:42), რსფსრ-ბელორუსია (ქალთა გუნდები) 74:62 (38:23).

დღეს ბრძოლაში ჩაებნენ აგრეთვე აკადემიური ნიჩბოსნები. ასპარეზობა მიმდინარეობს „ტრუდის“ სანიჩბოსნო ბაზაზე. გაიმართა წინასწარი და ნახევარფინალური შეხვედრები ოთხიანებით უმესაჭეოდ და მესაჭით, ორიანებით უმესაჭეოდ და მესაჭით, ერთიანებით, წყვილ-მოსასმელიანი ორიანებით და რვიანებით.

8 ივლისს გაიმართება დასკვნითი შეხვედრები. გავეცნობით ახალ ჩემპიონებს.

ვ. გაბელია.

ფიშერი გამარჯვებით იწყებს

ორთაბრძოლა, რომელშიც იყო დრამატული მომენტებიც, ჭადრაკის თამაშის მაღალი ნიმუშებიც, შედგა მეგიც, — ასე ახასიათებს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ოთხეულ ფიშერის (ამერიკის შეერთებული შტატები) და ბენტ ლარსენის (დანია) ნახევარფინალური მატჩის პირველ პარტიას იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტოს მიმოხილველი დენგერიდან გადმოცემულ ცნობაში, ეს პარტია ფიშერის გამარჯვებით დამთავრდა.

ლარსენმა, რომელიც შავებით თამაშობდა, ფრანგული დაცვა აირჩია, უკვე თამაშის დასაწყის სტადიაზე მას გაუჩნდა სიძნელეები: თეთრებმა ხელთ იგდეს რამდენიმე ღია ხაზი. ფიშერმა მოლიანად გამოიყენა ხელსაყრელი შანსები, საშუალება არ მისცა ლარსენს გაეკეთებინა როქი. შესწორეს რა შემდეგ ცენტრალური პაიკი, თეთრებმა მიიღეს კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობანი იერიშისათვის.

ოცი სვლის შემდეგ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ლარსენის მეფე უნდა დაღუპულიყო, მაგრამ ფიშერის არცთუ საუკეთესო სვლამ მოულოდნელად მისცა მეტოქეს კონტრშანსები, და თამაში გრძელდებოდა უკვე ახალი მიმართულებით.

ახლა ფიშერის მეფეზე მიიტანეს მრისხანე იერიში, ისე რომ მას ლაზიერის შეწირვაც კი მოუხდა. მაგრამ ფიშერს ჰქონდა საკმაო კომპენსაცია. ენდშპილი მიმდინარეობდა რიულ ბრძოლაში. ფიშერს ჰქონდა ორი პაიკი, ლარსენს — ოთხი. სამაგიეროდ ერთ-ერთი თეთრი პაიკი ორი კუს დახმარებით უკანასკნელი პორიზონტალისაკენ მიიწევდა. შავების ლაზიერმა ვეღარ შეაჩერა ეს წინსვლა, და ამოწურა რა თამაშისათვის განკუთვნილი თითქმის ხუთივე საათი, ლარსენი დანებდა.

მეორე პარტიას გაითამაშებენ 8 ივლისს. (საკდესი).

მოცურავეები გზას გაუდგნენ

10-12 ივლისს აშშ-ის ქალაქ სანტა-კლარაში ეწყობა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება ცურვაში. ამ ასპარეზობაზე პირველად გაემგზავრნენ საბჭოთა სპორტსმენები. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არიან ევროპის ჩემპიონი და რეკორდსმენი გალინა სტეპანოვა, ევროპის ჩემპიონი თინათინ ლეკვეიშვილი, ნ. პანკინი, ვოქტორია ვასკევიჩი და ჩვენი ქვეყნის სხვა უძლიერესი მოცურავეები.

პირველი ოქრო

ვენის „შტადტპალეს“ დარბაზში ორთაბრძოლები დაამთავრეს რაპირისტებმა. ლვოველმა მოფარიკავემ ვასილ სტანკოვიჩმა პირველმა მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა ამ ასპარეზობაზე. ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა პოლონელი „მუშკეტერი“ მარეკ დომბროვსკი. მესამე ადგილზე გამოვიდა მოსკოველი სპორტსმენი ლეონიდ რომანოვი.

სხვა გაზეთებიდან

□

ოკეანე—ნავით

ამას წინათ კუნძულ მადაგასკარს მიადგა ნიჩბიანი ნავი, რომელშიც 43 წლის შვედი ანდერს სვედლუნდი იჯდა. მამაცმა ზღვაოსანმა მოგზაურობა ავსტრალიის ნაპირებიდან დაიწყო ამა წლის 21 აპრილს, მარტოდმარტომ გადალახა ინდოეთის ოკეანე და აფრიკამდე 7.000 კილომეტრი გაიარა.

ეს უმაგალითო ნაოსნობა სვედლუნდმა მოახდინა შვიდი მეტრი სიგრძის ნავით. თან ჰქონდა მხოლოდ ოთხი წყვილი ნიჩაბი, 250 ლიტრი სასმელი წყალი, სურსათის მარაგი და სათევზაო მოწყობილობა. იგი აფრიკის ნაპირებამდე მიღწევას ოთხ-ხუთ თვეში ვარაუდობდა, მაგრამ გზას გაცილებით ნაკლებ დროს მოუნდა.

აღსანიშნავია, რომ შარშან ოკეანის გადაცურვის პირველი ცდის დროს სვედლუნდმა მარცხი განიცადა, გაიფორებულ ოკეანეში ნავი გადაუბრუნდა, ძლივს შეძლო მისი ხელახლა გადაბრუნება და რის ვაივაგლახით ისევ ავსტრალიის ნაპირებამდე მიღწევა.

ზაფხულია, პიონერული ზაფხული

მიმდინარე წელს საქართველოს პიონერულ ბანაკებში საზაფხულო არდადეგებს 80 ათასზე მეტი პიონერი გაატარებს. ამჟამად რესპუბლიკაში 115 ბანაკი მოქმედებს. ზოგიერთი მათგანი უკვე მოემსახურა პირველ ნაკადს, დაიწყო მეორე ნაკადის მიღება.

საჩხერის რაიონის მდინარე ჩიხურას ლამაზ ხეობაში განლაგებულია საქართველოს მშენებლობისა და სამშენებლო მასალათა წარმოების მუშაკთა პროფკავშირის პიონერული ბანაკის კორპუსები. ამ ბანაკის ოთხ კორპუსში დღეს 140 პიონერი ისვენებს.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — აქედან იწყება ბანაკის დღე; ქვემოთ — ჩიხურას ფონის გასვლა; მარჯვნივ, ზემოთ — უფროსი პიონერხელმძღვანელი იზა ნიკობაძე პიონერთა შორის.

ფოტო ა. მაჰაპარიანისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

ვითომც საკუთარიაო...

ყოველგვარი უწესრიგობა დანაშაულის წყაროა. ეს უფრო ნათლად ჩანს ისეთ დაწესებულებაში, როგორიც ავტოსატრანსპორტო კანტორაა. გარდა იმისა, რომ ავტომობილები ტექნიკურად გამართულნი და სრულ წესრიგში უნდა იყოს, აგრეთვე საჭიროა სამუშაო დროის ზუსტი აღრიცხვა და იმაზე რეგირება, თუ როდის გავიდა მანქანა გარაჟიდან და როდის დაბრუნდა. ამისათვის ავტოსაწარმოს სპეციალური კაცი ჰყავს. ცვლის მექანიკოსის სახით, რომელიც კონტროლს უწევს გარაჟში ავტომანქანის შესვლასა და გასვლას. როგორც ჩანს, ეს ელემენტარული ჭეშმარიტება უგულებელყოფილია თბილისის მეხუთე საგზირთო ავტოსაწარმოო კანტორაში (უფროსი ს. კვინიკაძე, მთავარი ინჟინერი ბ. ჭიჭინაძე, უფროსი დისპეტჩერი ს. მაცაბერიძე).

ამ საწარმოს გარაჟიდან დილით სამუშაოდ გავიდა სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც მძღოლი ოტტი კაკრამის-ძე კენგერი მართავდა. როგორც ავტოსაწარმოო კანტორის ექსპლოატაციის უფროსმა ე. კარაპეტიანმა გვითხრა, იმ დღეს მანქანა ემსახურებოდა თბილისის სასადილოების მეორე ტრესტს. პროდუქტებით დატვირთული ავტომანქანა იმ დროს მივიდა ამ ტრესტის № 80 სასადილოში, როგორ ობიექტი დაკეტილი იყო. მძღოლმა ავტომანქანა სასადილოს წინ დააყენა, თვითონ კი სახლში წავიდა დასაძინებლად. დილით, როცა ო. კენგერი სახლიდან დაბრუნდა, ნახა, რომ ავტომანქანა აღგილზე აღარ იყო. აქეთ ეცა, იქეთ ეცა, მაგრამ გზაკვალს ვერ მიაგნო. შეატყობინა ლენინის რაიონის მილიციას. ავტომანქანა გაეტაცებინათ და მეორე დღეს ნახეს ზაპესთან, პროდუქტები კი გაფუჭებულიყო. ბოროტმოქმედებს ავტომობილისათვის უკანა ხიდის მოხსნა სდომოდათ, მაგრამ ვერ მოეხერხებინათ.

ასეთი შემთხვევები ერთეული როდია. ხშირია, როცა სახელმწიფო ავტომანქანები გარაჟებში არ ბრუნდებიან და მძღოლები, თითქოს საკუთარიაო, სადაც უნდათ, ღამით იქ აყენებენ. ეს იმ ავტომეურნეობებში ხდება, სადაც დისციპლინა სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას და კონტროლი მოისუსტებს.

ბ. გორელი.



როცა შვებულებაში მიდიხარ...

დადგა მასობრივი შვებულების პერიოდი. რედაქციაში მრავალი შეკითხვა შემოდის, რომლებშიც მშრომელები გვთხოვენ განმარტებებს მუშა-მოსამსახურეთა შვებულებებთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე. ამაზე ვბეჭდავთ საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგის ვ. შარაშენიძის წერილს.

ერომის კანონმდებლობის საფუძვლების 32-ე მუხლი განმარტავს, რომ ყველა მუშასა და მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური შვებულება, სამუშაო ადგილის (თანამდებობის) და საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

ამ წესიდან გამონაკლისს მხოლოდ დროებითი და სეზონური მუშაკები შეადგენენ, რომლებიც შვებულების უფლებით არ სარგებლობენ.

შვებულების უფლების მოსაპოვებლად მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მუშაობას მუშა-მოსამსახურის სახით. საავტორო და სანაფდო ხელშეკრულებით მომუშავე პირები შვებულების უფლებით არ სარგებლობენ, ვინაიდან ისინი არ მიიჩნევიან მუშა-მოსამსახურეებად.

სახელმწიფო კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე შტატგარეშე პირებს აქვთ შვებულების უფლება, თუ ისინი სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას ექვემდებარებიან.

შვებულების უფლებით სარგებლობენ ის დროებითი და სეზონური მუშაკებიც, რომლებმაც ფაქტიურად ამუშავეს იმ ვადაზე მეტ ხანს, რაც კანონით დადგენილია დროებითი და სეზონური მუშაკებისათვის.

მუშებსა და მოსამსახურეებს შვებულების უფლება ენიჭებათ მოცემულ საწარმოში (დაწესებულებაში) 11 თვის მუშაობის შემდეგ, მაგრამ მეორე და მომდევნო წლებში მომუშავე პირებს შვებულება შეიძლება მიეცეთ ავანსად, დადგენილი შვებულების განრიგის მიხედვით.

შვებულების გამოსაანგარიშებელ მუშაობის სტაჟში ჩაითვლება: ფაქტიურად ნამუშევარი დრო, დრო, როდესაც მუშაკი არ მუშაობდა, მაგრამ მას ენახებოდა ადგილი და ხელფასი მთლიანად ან ნაწილობრივ (მაგ. სამხედრო შეკრებაზე ყოფნისას), დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი, როდესაც მუშაკს ეძლეოდა დახმარება სოციალური დაზღვევის თანხებიდან და ზოგიერთი სხვა პერიოდები, რომლებსაც ითვალისწინებს კანონი (მაგ.. სამუშაოზე აღდგენისას ის პერიოდი, რაც მუშაკს ფულად აუნაზღაურდა).

შვებულების გამოსაანგარიშებელ მუშაობის სტაჟში არ ჩაითვლება: უხელფასო შვებულებაში ყოფნის პერიოდები ყველა შემთხვევაში, სამუშაო ადგილზე გამასწორებელი სამუშაოების სასჯელის მოხდის პერიოდი, სხვა საწარმოში (დაწესებულებაში) მუშაობის პერიოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მუშაკი ადმინისტრაციის განკარგულებით გადაყვანილია ერთი სამუშაოდან მეორეზე ან გადაყვანა მოხდა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების გადაწყვეტილებით (რა თქმა უნდა, თუ პირმა წინა სამუშაო ადგილზე არ მიიღო ფუფალი კომპენსაცია).

გამომგონებლები და რაციონალიზატორები თავიანთი გამოგონების თუ წინადადების დანერგვის პერიოდში ზოგჯერ დროებით გადადიან სხვა საწარმოში სამუშაოდ. ასეთი პერიოდი ჩაითვლება შვებულების გამოსაანგარიშებელ მუშაობის სტაჟში, ამასთან თუ მუშაობა გრძელდებოდა 11 თვესა და მეტ ხანს, ფასიანი შვებულება ეძლევა იმ საწარმოს ხარჯზე, სადაც წინადადების ან გამოგონების დანერგვა ხდება.

შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 33-ე მუხლი განმარტავს, რომ მუშისა და მოსამსახურის ყოველწლიური შვებულების ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 15 სამუშაო დღეზე ნაკლები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ძირითადი შვებულების ხანგრძლივობა 15 სამუშაო დღეს შეადგენს. 15-დღიანი შვებულება ეძლევათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც სხვა რაიმე დამატებითი შვებულება არა აქვთ.

ყოველწლიური დამატებითი შვებულებები კი ეძლევათ: შრომის მავნე პირობებიან სამუშაოზე დასაქმებულ მუშებსა და მოსამსახურეებს; სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში დასაქმებულ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც ერთ საწარმოში (ორგანიზაციაში) მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი აქვთ; მუშაკებს, რომლებსაც არანორმირებული სამუშაო დღე აქვთ, და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუშა-მოსამსახურეთა ძირითადი შვებულების ხანგრძლივობა, როგორც წესი, 12 სამუშაო დღეს შეადგენს. ამიტომ დამატებითი შვებულების საერთო ხანგრძლივობის გამოანგარიშებისას 12-ს ემატება დამატებითი შვებულების ხანგრძლივობის რიცხვი, ასე მაგალითად, გაზზე მომუშავე ციცხლფარეშს შრომის მავნე პირობებში მუშაობისათვის ეძლევა დამატებითი შვებულება 6 სამუშაო დღის ხანგრძლივობით. მისი მორიგი შვებულების საერთო ხანგრძლივობა შეადგენს 18 სამუშაო დღეს (12+6) და არა 21 დღეს (15+6).

ამ საერთო წესიდან ზოგიერთი გამონაკლისიც არის დადგენილი: სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მუშებს, როგორც წესი, სამ წელზე მეტი განუწყვეტელი მუშაობისათვის ეძლევათ ყოველი მომდევნო წლის მუშაობისათვის 1 დღის შვებულება (მაგრამ არაუმეტეს 3 დღისა). ასეთი შვებულებები მუშებს ეძლევათ 15-დღიანი შვებულების ზევით.

ზოგიერთი დამატებითი შვებულება მუშაკს ეძლევა არა მისი შრომითი საქმიანობის ხასიათთან დაკავშირებით, მაგალითად, სამრეწველო საწარმოებში და სხვა ობიექტებზე ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმეულის აქტიურ წევრებს ეძლევათ დამატებითი შვებულება ექვს სამუშაო დღემდე; სახალხო რაზმეულის იმ წევრს, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, ეძლევა დამატებითი შვებულება სამ სამუშაო დღემდე; დონორებს ეძლევათ დამატებითი შვებულება იმ დღეების ხანგრძლივობით, რაც მათ არ გამოუყენებიათ სისხლის ჩაბარების დღეების შემდეგ დასვენებისათვის.

ყველა ეს შვებულება მშრომელებს ეძლევათ სხვა დამატებითი შვებულებების ზევით და ჯამდება 15-დღიან შვებულებასთან.

ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში შვებულება ეძლევა მუშაკს კანონით დადგენილი სამუშაო დღეების ოდენობით კალენდრის და არა გრაფიკის მიხედვით. დასვენების მეორე დღის ხარჯზე შვებულების ხანგრძლივობა არ იზრდება, ე. ი. შვებულების საერთო ხანგრძლივობა 5-დღიანი სამუშაო კვირის პირობებში იგივეა, რაც ექვსდღიანი კვირის პირობებში.

მუშაკთა ზოგიერთ კატეგორიას ეძლევა გახანგრძლივებული შვებულება, მაგალითად, მუშა-მოსამსახურეებს, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ, ეძლევათ ერთი კალენდარული თვის ხანგრძლივობის შვებულება.

სხვადასხვა ვადის გახანგრძლივებული შვებულება ეძლევათ ზოგიერთი კატეგორიის ინვალიდებს, სამეცნიერო-საკვლევი, სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ზოგიერთ მუშაკს, სტაჟიან მეწველებისა და სატყეო მეურნეობის ზოგიერთ მუდმივ მუშაკს და ა. შ.

არ დაიშვება მორიგი შვებულების გახანგრძლივება სამუშაო წლის განმავლობაში ზედმეტი მუშაობის ხარჯზე ან გამოუყენებელი დასვენების დღეების დაჯამების ხარჯზე (თუ ეს სპეციალურად არ არის კანონით გათვალისწინებული, მაგალითად, ჯონორებისათვის).

მუშა-მოსამსახურეები მორიგ შვებულებას იღებენ წელიწადში ერთხელ. შვებულების გამოყენების რიგითობას, წესსა და დროს აღგენს საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაცია პროფკავშირის საფბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

საშვებულებო განრიგის შედგენისას ადმინისტრაცია და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი თვალისწინებენ საწარმოს და მუშაკის ინტერესებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას და სხვა გარემოებებს.

შეთავსებით მომუშავე პირებს შვებულება ეძლევათ იმავე დროს, რაც ძირითადი სამუშაო ადგილიდან.

საშვებულებო განრიგი შემუშავებულ უნდა იქნას არაუგვიანეს წლის 1 იანვრისა და ეცნობოს მუშა-მოსამსახურეებს, რათა მათ წინასწარ იცოდნენ შვებულებაში გასვლის ვადა.

ზაფხულის პერიოდში შვებულება ეძლევათ: არასრულწლოვანებს, მუშა ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეებს, მასწავლებლებს და უმაღლესი სასწავლებლების და ტექნიკუმების პროფესორ-მასწავლებლებს.

შვებულების დამტკიცებული განრიგი სავალდებულოა როგორც ადმინისტრაციისათვის, ისე მუშაკისათვის, შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება, აგრეთვე სხვა დროისათვის გადატანა შეიძლება ორივე მხარის შეთანხმებით.

დაუშვებელია შვებულებაში გასული მუშაკის გამოწვევა.

ორზე მეტი შვებულების დაჯამება არ შეიძლება და დაუშვებელია ზედიზედ ორი წლის განმავლობაში შვებულების მიუცემლობა.

შვებულების პერიოდში მუშაკს ენახება სამუშაო ადგილი. ასეთ შემთხვევაში მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანა ან სამუშაოდან დათხოვნა არ დაიშვება, გარდა საწარმოს (ორგანიზაციის) მთლიანი ლიკვიდაციისა და მუშაკის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის შემთხვევებისა. თუ ადმინისტრაციას აქვს სხვა კანონიერი საფუძველი მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლებისა, ამას ის მოახდენს შვებულების დამთავრების შემდეგ.

შვებულებაში ყოფნის პერიოდში მუშაკს ენახება სამუშაო ადგილი და ხელფასი. საშვებულებო ხელფასის გაცემა ხდება შვებულებაში გასვლის წინ.

მუშაკს უფლება აქვს შვებულებაში ყოფნის პერიოდში პირადი განცხადებით გათავისუფლდეს სამუშაოდან, მხოლოდ ვალდებულია საერთო წესის დაცვით ორი კვირით ადრე გააფრთხილოს საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაცია.

მიმდინარე წელს გამოუყენებელი შვებულება შეიძლება გადატანილ იქნას მომავალ წელს.

შვებულება შეიძლება გადატანილ ან გაგრძელებულ იქნას შემდეგ შემთხვევებში: სახელმწიფო, ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების დროს (მაგალითად, სასწავლო შეკრებაზე გასვლისას, სახალხო მსაჯულის მოვალეობის შესრულებისას), მუშაკის ავადმყოფობის დროს, რაც დამოწმებულია საავადმყოფო ფურცლით. თუ მუშაკი ავად გახდა შვებულებაში ყოფნის დროს, ადმინისტრაცია ვალდებულია გადაუტანოს მას შვებულება ავადმყოფობის დღეების რიცხვით.

ადრე მოქმედი წესით, ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში დაშვებული იყო შვებულების ნაცვლად ფულადი კომპენსაციის გაცემა. შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 32-ე მუხლის შესაბამისად 1971 წლის 1 იანვრიდან შვებულების შეცვლა ფულადი კომპენსაციით არ დაიშვება, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც მუშაკი თავისუფლდება სამუშაოდან და შვებულებით კი არ უსარგებლია.

როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულების მე-8 მუხლში აღნიშნული, ეს წესი არ ვრცელდება იმ სამუშაო წლების შვებულებებზე, რომლებიც ამოიწურა 1971 წლის 1 იანვრისათვის.

ეს ნიშნავს, რომ წინა წლების, მაგალითად, 1969 და 1970 სამუშაო წლების, გამოუყენებელი შვებულების ფულადი კომპენსაციის მიღების უფლება მუშაკს 1971 წელსაც არ დაუკარგავს.

რამდენიმე სიტყვა უხელფასო შვებულებებზე. ასეთი შვებულებები შეიძლება მიეცეს მუშაკს იმ შემთხვევაში, თუ კანონი ამას პირდაპირ ითვალისწინებს. ქალს მშობიარობის შემდგომ ეძლევა შვებულება ბავშვის ერთი წლის ასაკის შესრულებამდე, აბიტურიენტს ორკვირიანი უხელფასო შვებულება უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად და სხვა შემთხვევებში.

ოჯახური პირობების და სხვა საპატიო მიზეზების გამო უხელფასო შვებულების გაცემას ითვალისწინებს საფუძვლების 35-ე მუხლი.

მუშებსა და მოსამსახურეებს, მათი განცხადებით, შეიძლება ადმინისტრაციამ მისცეს უხელფასო მოკლევადიანი შვებულება.

კანონი არ აწესებს ასეთი შვებულების ზუსტ ხანგრძლივობას. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ კალენდარულ თვეს.

ვ. შარაშენიძე.

საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგე.

რსფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოსკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1971-72 სასწავლო წლისათვის თბილისის დაუსწრებელი სწავლების განყოფილების ტექნოლოგიურ, ქიმიურ-ტექნოლოგიურ და საინჟინრო-ეკონომიურ ფაკულტეტებზე.

ინსტიტუტი ამზადებს: I. ინჟინერ-ტექნოლოგებს სპეციალობით — 1. სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგია 2. ხის დამუშავების ტექნოლოგია

II. ინჟინერ ქიმიკოს-ტექნოლოგებს სპეციალობით — გამომყვანი წარმოების მოწყობილობა და ქიმიური ტექნოლოგია.

III. ინჟინერ-მექანიკოსებს სპეციალობით — საყოფაცხოვრებო დანიშნულების მანქანები და აპარატები

IV. ინჟინერ-ეკონომისტებს სპეციალობით — ფართო მოხმარების საგნების წარმოების ეკონომიკა და ორგანიზაცია.

V. ეკონომისტებს სპეციალობით — საბუღალტრო აღრიცხვა.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე ორივე სქესის მოქალაქენი, რომლებიც მუშაობენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში. ჩარიცხვისას უპირატესობა მიეცემათ იმ აბიტურიენტებს, რომელთა სამუშაო პროფილი შეესაბამება არჩეულ სპეციალობას.

ინსტიტუტში შემსვლელნი, რომლებსაც სურთ ჩაირიცხონ:

სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგიის, ხის დამუშავების ტექნოლოგიის, გამომყვანი წარმოების მოწყობილობისა და ქიმიური ტექნოლოგიის, ფართო მოხმარების საგნების წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობებზე, მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), **საყოფაცხოვრებო დანიშნულების მანქანებისა